წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ანგარიში

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 67) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გაუთვალისწინებელი გადასახდების დასაფინანსებლად იქმნება ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მოცულობა განისაზღვრა 100 000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 70 000 ლარის ოდენობით.

სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვა ხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა თანხა 66 750 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 6750 ლარი, მათ შორის:

№	თარიღ.	ბრძანებ. №	ბრძანების თარიღი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	შენიშვნა
1	17.01.2023	48.482302	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წლის 10-13 იანვარს მომხდარისტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციამდე დროებითი სამუშაოების განხორციელების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა	4950	4950	
2	05.06.2023	48.482316	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მკლავჭიდის ახალგაზრდული ნაკრების წევრის გიგა ბერაძის მკლავჭიდის ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობისთვის თანხის გამოყოფა	1800	1800	
3	05.06.2023	48.482316	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მე-6 ქუჩაზე დაზიანებული ხიდ-ბოგირის დაუყოვნებლივ აღდგენისათვის თანხის გამოყოფა	60000	0	გაფორმებულია ხელშეკრულება. სამუშაოების შესრულების ვადა 40კ/დღე
			სულ თანხა:	66750	6750	